სამგრადუსიან ყინვაში

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 31 ოქტომბერი.

“დინამო” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი) 2:0 (2:0).

თბილისი: კოტრიკაძე, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, მელაშვილი (მაისურაძე), ბარქაია, დათუნაშვილი, მესხი.

მოსკოვი: იაშინი, კესარევი, ანიჩკინი, მუდრიკი, მასლოვი, ცარევი, ვშივცევი (ნიკოლაევი), ბობკოვი, გუსაროვი, კოროლენკოვი, ფადეევი.

მსაჯი: პ. ბელოვი (ლენინგრადი).

მოსკოვში აშკარად არასაფეხბურთო ამინდი დგას. მინდორი საგრძნობლად დამძიმებულია, ყინავს. თბილისელი ფეხბურთელები გათოშილ ხელებს მაისურებში მალავდნენ, ხოლო მათი მოსკოველი თანაკლუბელები გაცილებით უფრო წინდახედულნი აღმოჩნდნენ: მათ თეთრი ხელთათმანები ეცვათ.

მატჩი მაღალ ტემპში დაიწყო. მასპინძლებმა თავიდანვე სრული სისწრაფე განავითარეს და მთელი მინდვრის სიგანეზე გაშალეს შეტევა. პირველი წუთებიდანვე ნათელი გახდა, რომ სიჭინავა ვერ უმკლავდებოდა თავის უშუალო მოწინააღმდეგეს - ფადეევს. მოსკოველი ფორვარდი სისწრაფეში უგებდა მცველს და ხშირად გადიოდა მარცხენა ფლანგზე. პირველი გოლი გატანილ იქნა სწორედ ასე: ფადეევი მე-7 წუთზე დაუბრკოლებლად გავიდა თავის ფრთაზე, მიუახლოვდა კარს და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში - 1:0.

ამ გოლმა სრული დეზორგანიზაცია შეიტანა თბილისელთა დაცვის რიგებში. მასპინძელთა ფორვარდები ადგილების მოფიქრებული ცვლით ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მოპირდაპირე კართან. მე-15 წუთზე მასლოვი დრიბლინგით გავიდა შუა მინდორზე და კართან მიაწოდა ბურთი. კოტრიკაძემ ვერ შეძლო მისი აღება და გუსაროვმა თავით გაიტანა მეორე გოლი - 2:0.

მასპინძლებმა მატჩის ბედი თავიანთ სასარგებლოდ ფაქტიურად უკვე ამ დროისათვის გადაწყვიტეს, ვინაიდან 2 ბურთი საკმაო გარანტია იყო გამარჯვების მოსაპოვებლად და გარდა ამისა, გუნდი საფუძვლიანად ფლობდა ინიციატივას.

თბილისის “დინამო” ამ დღეს თავის შესაძლებლობაზე აშკარად დაბლა თამაშობდა. ნახევარმცველებმა ვერ შეძლეს საჭირო კონტროლის დაწესება შუა მინდორში, ხოლო თავდამსხმელები სისტემატურად კარგავდნენ ბურთს მოწინააღმდეგე მცველებთან ბრძოლაში, ერთადერთი, რომელიც სრული ძალით თამაშობდა და ხშირად ქმნიდა სახიფათო მომენტებს მოსკოველთა კართან, ეს იყო მესხი. იგი იოლად უგებდა ორთაბრძოლას კესარევს და აწვდიდა ბურთებს ცენტრში. მაგრამ აქ ბარქაია და მელაშვილი სრულ უმწეობას იჩენდნენ გადამწყვეტ მომენტებში., კერძოდ მესხმა თავისი ზუსტი გადაცემით თითქმის ცარიელ კართან გაიყვანა ბარქაია და ამ უკანასკნელმა ვერ გამოიყენა ბურთის გატანის ასპროცენტიანი შესაძლებლობა.

მეორე ტაიმში მოსკოველები ძირითადად ზრუნავდნენ მიღწეული ანგარიშის შენარჩუნებზე. მათ საგრძნობლად გააძლიერეს დაცვა, კერძოდ, საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანეს მესხი და ვინაიდან თბილისელთა მარჯვენა გარემარბი მეტრეველი ამ მატჩში აშკარად არ იყო ფორმაში, მასპინძლები მშვიდად იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ყოველ ცდას მიეტანათ კარზე იერიში. მართალია საერთოდ ტერიტორიული უპირატესობა შესვენების შემდეგ თბილისელებს ჰქონდათ, რომელთა თავდასხმაში ერთგვარი სიცხოველე შეიტანა მაისურაძემ,

მაგრამ მოსკოველები უნარიანად აწარმოებდნენ კონტრიერიშებს, რომლებსაც მეტად სახიფათო ხასიათი ჰქონდა. ასეთი კონტრიერიშების შედეგად ანგარიშის გაზრდის რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ ნიკოლაევსა და გუსაროვს. ეს შესაძლებლობანი არ იქნა გამოყენებული.

მატჩის დასასრულისათვის ყველაფერი ნათელი შეიქნა. სტუმრები შეურიგდნენ დამარცხებას, ხოლო ლიდერი დამაჯერებლად მოქმედებდა ყველა რგოლში.

მოსკოველებმა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს ეს მეტად მნიშვნელოვანი თამაში - 2:0.

ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა გაიმართა ადრე. იგი მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 5:1.

გ. გოგიაშვილი, ჩვენი სპეც. კორ.
“ლელო”, 2 ნოემბერი, 1963 წ.